



საქართველო  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის  
ადმინისტრაციული სამსახური

GEORGIA  
Administration  
of Kutaisi Municipality



4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3  
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-04-93  
3 Rustaveli Ave. Kutaisi, Georgia, 4600  
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-04-93  
22650-01-2-201610171109

N 01/22650  
17/10/2016



ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს  
ქალბატონ ირმა ბახუტაშვილს

ქალბატონო ირმა,

თქვენი მომართვის /№23795/01, 04.10.2016წ/ პასუხად გაცნობებთ:

ქალაქ ქუთაისის წყალმომარაგების პროექტის განხორციელებისათვის 2007 წელს 28 მაისს დაიდო პროექტის ადმინისტრირების ხელშეკრულება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, შპს „ქუთწყალკანალსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს შორის.

საქართველოს მთავრობამ, ქალაქ ქუთაისმა და შპს „ქუთწყალკანალმა“ მოითხოვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დახმარება ქუთაისის წყალმომარაგებისა და განვითარების პროექტის გარკვეული ნაწილების დასაფინანსებლად. ხელშეკრულების თანახმად მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება უზრუნველყო შპს „ქუთწყალკანალისათვის“ საჭირო დახმარება პროექტის წარმატებით განსახორციელებლად.

პროექტის განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვრა მუნიციპალური განვითარების ფონდი.

წყალმომარაგების შესაბამისი სექტორის რეაბილიტაციის განხორციელება იგეგმებოდა 2007 – 2010 წლებში და ითვალისწინებდა თანადაფინანსებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუნიციპალური განვითარების ფონდს ადგილობრივი ბიუჯეტიდან წყალმომარაგების გაუმჯობესების პროგრამიდან გადაერიცხა 309 899 /სამას ცხრა ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი/ ლარი, რაც აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად ითვალისწინებდა პროექტის მთლიანი ღირებულების 18%-ის თანადაფინანსებას, უშუალოდ სამუშაოებს კი ახორციელებდა შპს „ქუთწყალკანალი“ /ხელშეკრულება თან ერთვის/.

პატივისცემით,

ზვიად ჯავახია

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური